

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. პროგრამის დასახელება - ეკონომიკა
2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ეკონომიკის ბაკალავრი

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 240 კრედიტი (ECTS), მათ შორის:

❖ საფაკულტეტო სავალდებულო კურსები	-	72
❖ ძირითადი (Major) სპეციალობის სავალდებულო კურსები	-	81
❖ ძირითადი სპეციალობის (Major) არჩევითი კურსები	-	18
❖ თავისუფალი კურსები	-	9
❖ დამატებითი (Minor) პროგრამა	-	60

ხანგრძლივობა – 8 სემესტრი, სემესტრში – 30 კრედიტი.

4. სწავლების ენა - ქართული ენა

5. საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები

- რევაზ ხარებავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი
- მადონა გელაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

## 6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები დაიშვებიან უგამოცდოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება მათემატიკაში.
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/5 ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

## 7. პროგრამის მიზანი

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმთავრეს მისიას, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, კვლევებს, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომელიც დაუფლებულია პროფესიული კარიერისათვის აუცილებელ ცოდნასა და ხერხებს, პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალობა განპირობებულია საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების აუცილებლობით, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში კარდინალურ ცვლილებებს განაპირობებს. საქართველო ღია ეკონომიკის გზას დაადგა, შესაბამისად გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს ჩართვა ეკონომიკის ფუნქციონირების თეორიული ასპექტების მცოდნე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების ობიექტურ აუცილებლობას განაპირობებს.

მოცემული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ეკონომიკური ცოდნა, შეუქმნას წარმოდგენა ეკონომიკური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიურ ეკონომიკურ გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; გაათვითცნობიეროს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო-, მაკრო- და საერთაშორისო დონეზე; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტები; გამოიმუშაოს იდეისა და აზრების მანიპულირების, ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები; შეძლოს ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების ანალიზი და განზოგადებული დასკვნების გაკეთება; კრეატიული მიდგომების გამოყენებით, რთული, წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების გამოყენებით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება, როგორც დარგის, ამავე დროს ეროვნული ეკონომიკის დონეზე.

საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს ეკონომიკის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების დაუფლების შესაძლებლობას.

ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პოტენციური დამსაქმებლების რეკომენდაციები და ზოგადად, ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტირების შესაძლებლობები. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს დასაქმების პერსპექტივა, სადაც მოითხოვება ეკონომიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია და ის კომპეტენციები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობასთან და ეკონომიკური ხასიათის კვლევებთანაა დაკავშირებული.

## 8. სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ საბაზისო დისციპლინებში ფართო ცოდნა; გათვითცნობიერებული აქვს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო-, მაკრო- და საერთაშორისო დონეზე; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინა კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები** - ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია: ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; კვლევისა და დასკვნების, შედეგების სწორი ინტერპრეტაციის უნარი; კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების უნარი.
- **დასკვნის უნარი** - ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს: იდეისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა; ანალიზისა და სინთეზის უნარი, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის უნარი; ეკონომიკური ხასიათის მონაცემების შეგროვებისა და განმარტების უნარი; სიტუაციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნების გაკეთების უნარი; კრეატიული მიდგომების გამოყენებით რთული, წინააღმდეგობრივი მონაცემების ანალიზის უნარი; საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების გამოყენებით ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი.
- **კომუნიკაციის უნარი** - ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს გააჩნია: თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები მშობლიურ ენაზე; ასევე კომუნიკაციის უნარი უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე; ცოდნისა და პრობლემის ანალიზის უნარის გამოყენება ახალ ან უცხო გარემოში, ცოდნის ინტეგრირების უნარი, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური მუშაობისას.
- **სწავლის უნარი** - ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს: ახლის ათვისებისა და სწავლის უნარი; საკუთარი სწავლის პროცესის სწორი და ეფექტური დაგეგმვა; სასწავლო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება და მართვა.

- **ღირებულებები** - შეუძლია შეიტანოს ღირსეული წვლილი ღირებულების პარამეტრების ფორმირების პროცესში, შეუძლია ერთგულების პრინციპისა და მაღალი ხარისხით ეთიკური სტანდარტების დაცვა, აქვს სიახლეების ძიებისადმი პერმანენტული ლტოლვა და ახალი იდეების გენერირების უნარი; აქვს როგორც საკუთარი, ასევე ორგანიზაციის ჯგუფის წევრების ღირებულების კატეგორიის გათვითცნობიერებისა და გამოვლენის ხარისხის შეფასების უნარი; მუდმივ ცვალებად (ტურბულენტურ) გარემოში ადაპტირების, მმართველობითი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.  
გააჩნია მაღალი პიროვნული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის, პროფესიული ქცევისა და ეთიკის ნორმების გათვითცნობიერების უნარი, პასუხისმგებლობა დაკისრებულ ვალდებულებებზე.

## 9. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 72 კრედიტი</b>														
<b>უცხო ენა - 21 კრედიტი</b>						<b>6</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>3</b>					
<b>ა)</b>	<b>ინგლისური ენა - დამწყებთათვის</b> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლიათ აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)													
1.	<i>ინგლისური ენა I (Elementary A1)</i>	ENGL B 001	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<i>ინგლისური ენა II (Pre-Intermediate A2)</i>	ENGL B 002	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 001
3.	<i>ინგლისური ენა III (Intermediate B 1)</i>	ENGL B 003	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 002
<b>ბ)</b>	<b>უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით</b> (მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)													
1.	<i>უცხო ენა I - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2</i>	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	<b>6</b>	65	85	<b>6</b>								წინაპირობის გარეშე
2.	<i>უცხო ენა II - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2. 1</i>	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	<b>6</b>	65	85		<b>6</b>							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	<i>უცხო ენა III - (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 2.2</i>	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	<b>6</b>	65	85			<b>6</b>						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
<b>დარგობრივი ინგლისური ენა (ეკონომიკა და ბიზნესი)</b>														
4.	<i>დარგობრივი უცხო ენა - (ინგლისური,</i>	ENGL B 016	<b>3</b>	35	40				<b>3</b>					ENGL B 003/ENGL B 013

	გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ეკონომიკა და ბიზნესი)	GERM B 016 FREN B 016 RUSS B 016												GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	მიკროეკონომიკის პრინციპები	ECON B 101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
6.	მაკროეკონომიკის პრინციპები	ECON B 102	6	65	85		6							ECON B 101
7.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის I	MATH B145	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
8.	მათემატიკა ეკონომისტებისათვის II	MATH B146	6	65	85		6							MATH B145
9.	საოფისე ტექნოლოგიები	COMP B 130	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
10.	ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები	PSYC B 129	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
11.	ალბათობის თეორია	MATH B110	3	35	40			3						MATH B145
12.	აკადემიური წერა	ACAD B 101	3	35	40		3							წინაპირობის გარეშე
13.	ბიზნესის საფუძვლები	BUSS B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
14.	ბიზნესის ორგანიზაცია	BUSS B102	3	35	40		3							BUSS B101

**ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 81 კრედიტი**

1.	მიკროეკონომიკა I	ECON B103	6	65	85			6						ECON B 101
2.	მიკროეკონომიკა II	ECON B104	6	65	85				6					ECON B103
3.	მაკროეკონომიკა I	ECON B105	6	65	85				6					ECON B 102
4.	მაკროეკონომიკა II	ECON B106	6	65	85					6				ECON B 105
5.	საერთაშორისო ეკონომიკა I	ECON B107	6	65	85					6				ECON B 102 ECON B105
6.	საერთაშორისო ეკონომიკა II	ECON B108	6	65	85						6			ECON B107
7.	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში I	BUSS B109	3	35	40				3					MATH B145
8.	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში II	BUSS B110	6	65	85					6				MATH B110
9.	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	ECON B109	3	35	40			3						ECON B102
10.	საჯარო ფინანსები	ECON B110	6	65	85							6		ECON B106
11.	ფირმის ეკონომიკა	ECON B111	3	35	40							3		ECON B104
12.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	BUSS B134	6	65	85			6						წინაპირობის გარეშე
13.	საქართველოს ეკონომიკა	ECON B120	3	35	40						3			ECON B 106

14.	ეკონომეტრიკა	MATH B147	3	35	40							3			MATH B110		
15.	ეკონომიკური პოლიტიკა	ECON B112	6	65	85										6	ECON B120	
16.	საბაკალავრო ნაშრომი	ECON B 121	6	35	115										6	პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები	
<b>ძირითადი (major) სპეციალობის არჩევითი კურსები -18 კრედიტი</b> (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)											6			3	6	3	
1.	სოციალური ეკონომიკა	ECON B 113	6	65	85											ECON B 101	
2.	მსოფლიო ეკონომიკა	ECON B114	6	65	85											ECON B 102	
3.	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	ECON B122	6	65	85											წინაპირობის გარეშე	
4.	რეგიონული ეკონომიკა	ECON B 115	3	35	40											ECON B106	
5.	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	ECON B 116	3	35	40								3			წინაპირობის გარეშე	
6.	საინვესტიციო პოლიტიკა	ECON B 117	6	65	85										6	ECON B108	
7.	საერთაშორისო ვაჭრობა	ECON B 118	6	65	85											ECON B108	
8.	საერთაშორისო ფინანსები	BUSS B114	3	35	40											წინაპირობის გარეშე	
9.	ევროკავშირის ეკონომიკა	ECON B119	3	35	40											ECON B106	
<b>თავისუფალი კურსები</b> (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)			<b>9</b>												3	3	3
<b>დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა</b> (დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)			<b>60</b>						12	12	12	12	12				
<b>ს უ ლ</b>			<b>240</b>			<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>		

## 10. დამატებითი (minor) პროგრამა - ეკონომიკა

- პროგრამის დასახელება - დამატებითი (Minor) პროგრამა ეკონომიკა

- პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 60 კრედიტი (ECTS), მათ შორის:

- ❖ სავალდებულო კურსები - 39 კრედიტი
- ❖ არჩევითი კურსები - 21 კრედიტი

ხანგრძლივობა – 5 სემესტრი (IV-VIII), სემესტრში – 12 კრედიტი.

- სწავლების ენა - ქართული

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტრუდენტი, რომელის სტრუქტურაც ითვალისწინებს დამატებით პროგრამას

- პროგრამის მიზანი

ეკონომიკის დამატებითი (Minor) პროგრამის მიზანია, ძირითად სპეციალობასთან ერთად სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრს მისცეს თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები ეკონომიკის მიმართულებით, დაეხმაროს მათ ახალი პროფესიის შეძენაში, ხელი შეუწყოს კარიერულ წინსვლაში, თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს

კომპეტენციები ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია.

## სწავლის შედეგები

- **ცოდნა და გაცნობიერება** - დამატებითი (Minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული ძირითადი და სავალდებულო საგნების (მიკროეკონომიკა I, მაკროეკონომიკა I, მიკროეკონომიკა II, მაკროეკონომიკა II, საერთაშორისო ეკონომიკა I, საქართველოს ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა II, სოციალური ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკა და ა.შ) გავლით მიღებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნით და გამომუშავებული უნარებით სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს შეუძლიათ გაიაზრონ ეკონომიკის დარგში არსებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები, ასევე გააჩნიათ პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერების უნარი.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს აღნიშნული, დამატებითი (Minor) პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნით შეუძლიათ ეკონომიკის დარგში არსებული პრობლემების გააზრება. წინასწარ განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად პრაქტიკული ხასიათის საქმიანობის განხორციელება.
- **დასკვნის უნარი:** დამატებითი (Minor) პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული საგნების დასრულების შედეგად სხვადასხვა სპეციალობის ბაკალავრებს შეუძლიათ ეკონომიკის მახასიათებელი მაჩვენებლების შეგროვება და მათი განმარტება, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე არსებული მაჩვენებლების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით და აქედან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- **კომუნიკაციის უნარი** - დამატებითი (Minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი მიიღოს მონაწილეობა ეკონომიკის ცალკეული მაჩვენებლების დამუშავებაში და წერილობითი ანგარიშების სტრუქტურირებულად და თანამიმდევრულად მომზადებასა და გადაცემაში სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხოურ ენებზე.
- **სწავლის უნარი** - დამატებითი (Minor) პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უნარი შეაფასოს მიღებული ცოდნა და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.
- **ღირებულებები** - აქვს სიახლეების ძიებისადმი პერმანენტული ლტოლვა და ახალი იდეების გენერირების უნარი; ამასთან ერთად, აქვს როგორც საკუთარი, ასევე ორგანიზაციის ჯგუფის წევრების ღირებულების კატეგორიის გათვითცნობიერებისა და გამოვლენის ხარისხის შეფასების, მუდმივ ცვალებად (ტურბულენტურ) გარემოში ადაპტირების, მმართველობითი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

• დამატებითი (Minor) პროგრამა ეკონომიკაში - სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
<b>სავალდებულო კურსები - 39 კრედიტი</b>														
1.	მიკროეკონომიკა I	ECON B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	მაკროეკონომიკა I	ECON B105	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
3.	მიკროეკონომიკა II	ECON B104	6	65	85					6				ECON B103
4.	მაკროეკონომიკა II	ECON B106	6	65	85					6				ECON B105
5.	საერთაშორისო ეკონომიკა I	ECON B107	6	65	85						6			ECON B105
6.	საქართველოს ეკონომიკა	ECON B109	3	35	40						3			ECON B103 ECON B105
7.	საერთაშორისო ეკონომიკა II	ECON B108	6	65	85							6		ECON B107
<b>არჩევითი კურსები - 21 კრედიტი</b>														
1.	ფირმის ეკონომიკა	ECON B111	3	35	40						3			ECON B104
2.	ბუნებათსარგებლობის ეკონომიკა	ECON B 116	3	35	40									წინაპირობის გარეშე
3.	სოციალური ეკონომიკა	ECON B113	6	65	85									ECON B105
4.	მსოფლიო ეკონომიკა	ECON B114	6	65	85							6		ECON B105
5.	ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია	ECON B122	6	65	85									ECON B122
6.	ეკონომიკური პოლიტიკა	ECON B112	6	65	85								6	ECON B106
7.	საინვესტიციო პოლიტიკა	ECON B117	6	65	85									ECON B106
8.	საერთაშორისო ვაჭრობა	ECON B 118	6	65	85								6	ECON B104
9.	საჯარო ფინანსები	ECON B110	6	65	85									ECON B106
<b>სულ - 60 კრედიტი</b>									12	12	12	12	12	